მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

**ოქმი №16**

ქ. მარტვილი 25 ივლისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა, სერგი ფაცაცია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 32–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ქეთევან ბაჩილავა, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა.

**მოისმინეს 1:** საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 32, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 25 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ივლისის განკარგულება №55 სხდომის ოქმს თან ერთვის.

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
1. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-ქეთევან ბაჩილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
2. სხვადასხვა.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა.

**მოისმინეს 2**: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/ ქეთევან ბაჩილავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 13320 ლარს, მათ შორის 2019 წლის 13 იანვრის N13 განკარგულების ნაშთი შეადგენს 3320 ლარს, ხოლო 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების ნაშთი 10000 ლარს. არსებული ნაშთის ასახვის მიზნით შესატანია ცვლილება 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, კერძოდ უნდა გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ბუჯეტის ნაშთები 13320 ლარით, შესაბამისად უნდა გაიზარდოს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ: საჯარო სკოლების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 13320 ლარით მარტვილის მუნიციპალიტეტის სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის დამხმარე შენობის ოთახისა და ვედიდკარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლის აივნის რეკონსტრუქციის სამუშაოების დასაფინანსებლად.

აქვე საკრებულოს წევრებს გააცნო მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ასახულია წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, კერძოდ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მ/წლის 22 ივნისის Nბ58.5822173001 ბრძანებით გაიზარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების 95000 ლარით (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულება) შესაბამისად უნდა გაიზარდოს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ საჯარო სკოლების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 95000 ლარით (მარტვილის მუნიციპალიტეტის სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის დამხმარე შენობის ოთახისა და ვედიდკარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლის აივნის რეკონსტრუქციის სამუშაოები).

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 32, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ივლისის დადგენილება №20 სხდომის ოქმს თან ერთვის.

**მოისმინეს 3**: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას საკანონმდებლო ინიციატივა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში ქუჩისთვის სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელ ლეკეკელეს მოსახლეობა ითხოვს ამავე სოფელში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ცნობილი განმანათლებლისა და სასულიერო პირის, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის, სამეგრელოში 15-მდე სკოლის დამაარსებლის, დეკანოზ ***ანტონ იოანეს ძე კეკელიას*** (1855-1920 წწ.) სახელი.

ქუჩის ტერიტორია განაშენებულია ერთ და ორსართულიანი სახლებით და მოიცავს მანძილს ე. წ. შაურკარის სასაფლაოდან სოფ. ლეკეკელეში მცხოვრებ მარკოზ ზაურის ძე კეკელიას საცხოვრებელ სახლამდე. ქუჩა იწყება ნანა კეკელიას (დაბ. 28. 03. 1979 წ.) საცხოვრებელთან, შემდეგ პირობით მისამართზე: ბანძა, VI ქუჩის I შესახვევი, N1, და გრძელდება მარკოზ კეკელიას (დაბ. 12. 04. 1973 წ.) საცხოვრებელ მისამართამდე, კერძოდ, ბანძა, II ქუჩის N58-მდე.

**დასაბუთება:** საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ პიროვნებას გამორჩეული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის 10-იანი წლების საზოგადო მოღვაწეთა შორის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ პერიოდის ბანძის სახალხო განათლებისა და კულტურის ისტორიას მამა ანტონის ნათელი გასდევს... მის ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობაზე ხშირად იბეჭდებოდა წერილები იმდროინდელ პერიოდულ პრესაში. გარდა სენაკის მაზრის სოფლებში 15-მდე სკოლისა, მისივე თაოსნობით სოფელ ბანძაში სხვადასხვა დროს გაიხსნა ბანკი, სასამართლო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და საავადმყოფო. დეკანოზის თაოსნობით 1891 წელს დაარსებულ სკოლას, რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებს სსიპ ბანძის საჯარო სკოლა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივლისის N28 განკარგულების საფუძველზე, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, მიენიჭა დეკანოზ ანტონ კეკელიას სახელი. ცნობილი ლიტერატურათმცოდნისა და პედაგოგის - ვახტანგ როდონაიას სავსებით სამართლიანი შეფასებით, „თუ გავითვალისწინებთ სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ სირთულეებს თვით ახლაც კი - განათლების სისტემის დღევანდელ საფეხურზე, ადვილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლებები უნდა შეხვედროდა არათუ ათეულზე მეტის, არამედ თუნდაც ერთი სკოლის გახსნას იმ დროს, როცა სოფლად სწავლა-განათლების საჭიროება ხშირად სადავოდაც კი იყო მიჩნეული. საზოგადოებაში, რომელიც დრომოჭმულ წარმოდგენათაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო, არც მოწინავე პიროვნების საქმიანობით აღძრულ-ნასაზრდოები შური გამოირიცხებოდა. დავუმატოთ ამას მატერიალური სახსრების პრობლემა და გავიხსენოთ სამოქმედო ასპარეზიც - რუსეთის ვრცელი იმპერიის პერიფერია, ადგილობრივ აყვავებული ბიუროკრატიული სისტემით“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 5 ოქტომბერი, 1990 წ.).

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ ინიციატივას ზემოთ აღნიშნიშნული საკითხის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა ვახტანგ კეკელიამ აღნიშნა, რომ მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის, სამეგრელოში 15-მდე სკოლის დამაარსებლის, დეკანოზ ანტონ იოანეს ძე კეკელიას სახელის მინიჭების თაობაზე.

**დაადგინეს:** ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ერთერთ ქუჩაზე ცნობილი განმანათლებლისა და სასულიერო პირის, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის, სამეგრელოში 15-მდე სკოლის დამაარსებლის, დეკანოზ ანტონ იოანეს ძე კეკელიას სახელის მინიჭების თაობაზე, საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას დასკვნის წარმოსადგენად.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა